ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი **2025 წლის 6 თებერვალი**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

5. სხვადასხვა (საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, გ. ქარდავა, მ. ჩარტია, ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ა(ა)იპ-ის თანამშრომლებს მიმდინარე წელს გაეზარდათ ხელფასები 10%-ით, ამჯერად კიდევ იზრდებოდა სახელფასო სარგო 125 ლარით, რომელიც მისასალმებელი იყო. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - დაინტერესდა თუ რომელ ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელებისთვის მიიმართებოდა თანხები?

დ. ჭოჭუა - განმარტა, რომ საკრებულოს წევრებზე გადაცემულ ბიუჯეტის პროექტში დეტალურად იყო ჩამოთვლილი ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებზეც მიიმართებოდა თანხები.

ლ. ქავთარაძე - განაცხადა, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან კიდევ ელოდებოდნენ თანხის დამატებას ადგილობრივ ბიუჯეტში და რომელიც მოხმარდებოდა პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

მ. იოსავა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო, ქალაქის ტერიტორიაზე პარკის მშენებლობის საკითხი?

ლ. გვასალია - მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ურბანული განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი - განმარტა, რომ როგორც ცნობილია რამდენჯერმე ჩავარდა აღნიშნულ პროექტზე ტენდერი, ამჟამად მიმდინარეობდა გადაფასების პროცესი და იმედი გამოთქვა ამის შემდეგ მაინც, გამოვლინდებოდა გამარჯვებული.

ლ. ადანაია, მ. იოსავა, ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ სოფლებში გზები იყო სავალალო მდგომარეობაში, ზოგან ახალი გზები იყო დასაგები, ზოგან კი სარეაბილიტაციო. შემოვიდნენ წინადადებით პირველივე ეტაპზე განხორციელებულიყო ამ გზების რეაბილიტაცია, კერძოდ: ახალი ხიბულის, ზემო ქვალონისა და თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ლ. გვასალია - განაცხადა, რომ ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ ერთეულებში ზოგიერთი პროექტი განხორციელების პროცესში იყო, ხოლო მეორე ნაწილის დაფინანსება მოხდება ბიუჯეტში თანხის მობილიზების შემთხვევაში.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობები განისაზღვრა - 23158,4 ათასი ლარით. გადასახდელები განისაზღვრა 26346,9 ათასი ლარის ოდენობით. პრიორიტეტებისა და გადაუდებელი

აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადებული დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები და დამატებები: 2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ბიუჯეტში აისახება 2823,4 ათასი ლარი, აქედან: 469,0 ათასი ლარი ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნებები (67,1 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის N2475 განკარგულება, 360,5 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის N2402 განკარგულება, 41,4 ათასი ლარი - საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის N2401 განკარგულება (ინფრასტრუქტურული პროექტები) და 2354,4 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებები; ნაშთის 2823,4 ათასი ლარი (469,0 ათასი ლარი - ცენტრალური ბიუჯეტი, 2354,4 ათასი ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებაზე 0,3 ათასი ლარი. პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 2069,2 ათასი ლარი. პრიორიტეტის „განათლება“ ასიგნებებზე 2,5 ათასი ლარი. 387,2 ათასი ლარი პროგრამის „სკოლამდელი განათლების დაფინანსება“ ასიგნებაზე, პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებებზე 366,7 ათასი ლარი. ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, გ. ქარდავა, მ. ხუხია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2024 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, გ. ქარდავა, მ. ხუხია, თ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკანონმდებლო მაცნეში აქტის ატვირთვის დროს დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში მითითებული იყო პირველი კატეგორიის 2 საშტატო ერთეული, რეალურად კი პირველი კატეგორიის 1 საშტატო ერთეულია განყოფილებაში, აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, გ. ქარდავა, მ. ხუხია, თ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება N22. საკანონმდებლო მაცნეში აქტის ატვირთვის დროს დაფიქსირდა პროგრამული ხარვეზი, აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების ახალი პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და ძალადაკარგულად გამოცხადდა „ხობის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №22 დადგენილება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ზაქარაია, გ. ქარდავა, მ. ხუხია, თ. ქირია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

5. სხვადასხვა (საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება)

საკრებულოს წევრის მალხაზ იოსავას გამოსვლამდე სხდომის თავმჯდომარემ ლ. ქავთარაძემ სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მ. ქარდავას გაძღოლოდა სხდომას და თვითონ დატოვა სხდომათა დარბაზი

მოისმინეს: მ. იოსავა - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას და გამოსვლა დაიწყო მთავრობის კრიტიკით, რა დროსაც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ აკაკი მალანიამ შეაწყვეტინა საუბარი და მიმართა მას.

აზრი გამოთქვეს: ა. მალანია - გამომსვლელმა მიმართა მალხაზ იოსავას და შეახსენა რომ ყველა ქართული ოცნების წევრთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო, არასდროს უხსენებია მათთან საუბრისას ან კომისიის სხდომაზე მოსახლეობის პრობლემების შესახებ, ის მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებას, თავისი პარტიის ხელმძღვანელობასთან ქულების დასაწერად, რეალურად მას არ აინტერესებდა მოსახლეობის პრობლემები და ასეთი სახის გამოსვლები მისთვის მიუღებელი იყო და პროტესტის ნიშნად დატოვა სხდომათა დარბაზი.

სხდომათა დარბაზი ასევე დატოვა უმრავლესობის ყველა და ოპოზიციის ზოგიერთმა საკრებულოს წევრმა.

მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან კრიტიკული განცხადების გაკეთება უქმნიდა უმრავლესობას უხერხულობას ამიტომაც დატოვეს სხდომათა დარბაზი, რაც მისი აზრით სამარცხვინო იყო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2025 წლის 6 თებერვლის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარი შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. დოდო გაბუნია
10. აკაკი მალანია
11. ია ჯიშკარიანი
12. მზია ლემონჯარია
13. ბადრი რიჟამაძე
14. კობა გერგაია
15. აკაკი ხურცილავა
16. სერგო ბერაია
17. მაკა ჩარტია
18. გივი ლატარია
19. ფრიდონ კუკავა
20. ქეთევან კვირიკაშვილი
21. ლელა ადანაია
22. მოგელი ხუხია
23. თამარ ქირია
24. ფელიქსი წურწუმია
25. ჯანსუღი ჯიშკარიანი
26. მალხაზ იოსავა
27. დიტო ხასია
28. ფრიდონ შონია